



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

როლანდ შავაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მიმოზა ტყეშუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);



გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი
ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244970652

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა
ფაქტობრივი მისამართი	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	იხ. ბმული
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chaismeurneoba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995577673701

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	31/05/2024 MES 0 24 0000607105 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ -
--	---

	მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27-28 ივნისი 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა (1 შენობა)
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა (1 შენობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხონი, სოფელი ჩაის მეურნეობა (1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

სსიპ - მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27-28 ივნისს (ბრძანება 31/05/2024 MES 0 24 0000607105). ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა 11 ექსპერტით, მათ შორის 2 ზოგადი განათლების ხარისხის და 9 საგნობრივი ჯგუფის ექსპერტით.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტების მიერ ადგილზე განხორციელდა შენობის ვიზუალური დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

სკოლაში იყო თანამშრომლობის, მზრუნველობის, დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. სკოლის მასწავლებლებთან, დირექციასთან ურთიერთობისას ნათლად ჩანდა მათი პროფესიული კოლეგიალურობა და ეთიკა. ჩანდა, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის მთელი სასკოლო საზოგადოება იყო მობილიზებული და კათედრის წევრთა შორის, ასევე კათედრათა შორის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სკოლისთვის ჩვეული პრაქტიკაა. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის ჯგუფთან თანამშრომლობისთვის, როგორც მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციით, ასევე ადგილზე უშუალო კომუნიკაციის პროცესში. ავტორიზაციის გუნდს, სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო მშვიდ და საქმიან გარემოში.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს და დამატებით დოკუმენტაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის შემდეგ, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ყველა საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი ამოწმებდა საგნობრივ კურიკულუმებს, ხოლო დაწყებითი მიმართულების ექსპერტი აწარმოებდა რევიზიას.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გავესაუბრეთ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის ბოლოს მოხდა შეჯამება და მიგნებების სკოლისათვის გაცნობა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ-მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა 1989 წლიდან ფუნქციონირებს. 2011 წლიდან სკოლას მიენიჭა აგვისტოს ომში დაღუპული გმირის-მალხაზ აბაშიძის სახელი. სკოლის საუკეთესო გამოცდილებას წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმების ცხოვრებისეულ პრაქტიკაში და პროექტებში რეალიზება. ეს მოსწავლეს ეხმარება განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები და კონცეფციები ახალ განსხვავებულ კონტექსტში, გაუჩნდეს ახალი იდეები. გაფართოებული აბსტრაქტი კი ხელს უწყობს მოსწავლეებში, იცოდნენ რა გააკეთონ საუკეთესო შედეგის მისაღებად.

სასკოლო საზოგადოების მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ფართო მასშტაბის საერთაშორისო პროექტი არის „GLOBAL ACTION DAYS 2024“-გავხადოთ ხვალინდელი დღე კლიმატმეგობრული პოზიტიური ქმედებების მეშვეობით.

სკოლა წელს უკვე მესამედ ჩაერთო გლობალური მოქმედების დღეების ათდღიან მარათონში. გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) მიერ ინიცირებული გლობალური მოქმედების დღეების მაგალითზე ყველამ გაითავისა, თუ როგორ შეუძლია ინდივიდუალურ ქმედებებს, რაც არ უნდა მცირე ჩანდეს ისინი, დიდი გავლენა მოახდინოს ადამიანების და დედამიწის კეთილდღეობაზე. საჯარო სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები თემის წარმომადგენლებთან

ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული გარემოსდაცვით ღონისძიებებში.მათ ყველა აქტივობა შეასრულეს, რისთვისაც სკოლა და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

ეგვიპტის ქალაქ შარმ-ელ- შეიხში გამართული მარათონის ფარგლებში მოსწავლეებმა გადამუშავებადი მასალისგან დაამზადეს ესტაფეტის ჯოხი, დაითვალებს ნახშირბადის ნაკვალევი, გაითამაშეს როლური თამაში „სათბურის ეფექტი“. სკოლების გლობალური მოქმედების დღეს კი მოსწავლეები, მასწავლებლები და თემის წარმომადგენელი ჩაერთვნენ დაორგანიზებულ მარათონში: ირბინეს სკოლის ტერიტორიაზე მონიშნულ ბილიკზე.

გლობალური მარათონის ფარგლებში შესრულებული აქტივობა „როლური თამაში“ მოსწავლეებს დაეხმარა, გაიაზრონ „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული კლიმატის ცვლილება. გამოცდილების გაზიარების მიზნით აღნიშნულ საკითხზე სკოლის პედაგოგის მიერ მომზადდა სტატია, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ახალ განათლებაში“. სტატიაში საუბარია თანამედროვე სკოლის დანიშნულებაზე გლობალურად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდაში.

ამ აქტივობების ფარგლებში, მოსწავლეებმა ერთი დღით კვების მენიუდან ამოიღეს ხორცპროდუქტები და სოციალური ქსელით გაავრცელეს ხორცის გარეშე მომზადებული საკვების ფოტოები, გაიაზრეს რა გავლენას ახდენს ხორცის წარმოება კლიმატის ცვლილებაზე;

ამავე პერიოდში მოსწავლეებმა მშობლების ხელშეწყობით დაასუფთავეს საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორია და ნარჩენები განათავსეს ნაგვის ურნაში.

წელს 2024 წლის 22 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით სკოლა კვლავ ჩაერთო გლობალური მოქმედების დღეების მარათონში. მოეწყო დასუფთავების აქცია სოფლის ტერიტორიაზე სკოლის მიმდებარედ, სადაც ქოტურად ეყარა პლასტმასის ბოთლები და პოლიეთილენის პარკები, რომლებიც საფრთხეს ქმნის შინაური ცხოველებისათვის და აბინძურებს ბუნებას. მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად უსაფრთხოების წესების დაცვით დაასუფთავეს შერჩეული ტერიტორია და ნარჩენები ნაგვის ურნაში განათავსეს.

მორიგი აქტივობა იყო „კლიმატმზაოზა ბიოეკონომიკის მეშვეობით“. სკოლაში და ოჯახში შექმნეს განახლებადი რესურსებისგან დამზადებული ნაკეთობები. სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები სასკოლო ნივთების სატარებლად იყენებენ ნაჭრის ჩანთებს.

გლობალური მოქმედების დღეების ფარგლებში მოამზადეს 24 საათიანი კვების გეგმა მცენარეული და დაბალი ნახშირბადის ცილის შემცველი პროდუქტით და გააზიარეს სოციალური ქსელის საშუალებით.

შენდეგი აქტივობა „რომელიც შეასრულეს იყო კლიმატმზაოზა ამინდის ცვლილებასთან ერთად. კლიმატის ცვლილებამ დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაზარდა ისეთი სტიქიური მოვლენების ინტენსივობა, როგორებიცაა წყალდიდობა და მეწყერი. მოსწავლეებმა საქართველოს რუკაზე მონიშნეს ბოლო პერიოდში მომხდარი სტიქიური მოვლენები მათი შედეგები.

მოსწავლეებმა გაიაზრეს, რომ კლიმატის ცვლილება უარყოფითად აისახება ბიომრავალფეროვნებაზე, შემოთავაზებული აქტივობის ფარგლებში მოსწავლენს საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორიის მიდამოებში უნდა შეემჩნიათ ფრინველთა სახეობები გადაეღოთ ფოტოები, ჩაეწერათ ფრინველთა ხმები.

სკოლა ასევე აქტიურად არის ჩართული მწვანე თარიღების აღსანიშნავ ღონისძიებებში, როგორცაა ნარჩენების გადამუშავების, წყლის და ტყის დღე, დედამიწის დღე.

სკოლის მასწავლებლები არა მარტო ადგილობრივ თემს უზიარებენ სიახლეებს და გამოცდილებას, არამედ, სისტემატურად აქვეყნებენ სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით:

მასწავლებელთა სტატიები გაზეთ „ახალ განათლებაში“

1. მეგობრობა ამსხვრევს სტერეოტიპებს -ნონა მაჭარაშვილი, ირინე კუჭავა
2. როლური თამაშები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებისთვის -ნონა მაჭარაშვილი
3. ერთად ვიზრუნოთ მომავალი თაობის კიბერუსაფრთხოებაზე-ნონა მაჭარაშვილი
4. გლობალური მოქალაქეობის როლის გააზრება ადრეული ასაკიდან-ნონა მაჭარაშვილი.
5. ადამიანის უფლებათა ფასეულობების დემოკრატიული მოქალაქეობისათვის--ნონა მაჭარაშვილი, მზია აბაშიძე
6. არაფორმალური განათლება მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობების გამოვლენის ხელშესაწყობად-ირინე კუჭავა
7. ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი -ცირა ბიბინიძე
8. ნაწერის ილუსტრირების როლი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში

სკოლაში ხორციელდება კიდევ ბევრი სხვა პროექტიც:

1. „დაიცავი წყალი, დაიცავი სიცოცხლე“,
2. „არა ბარბარიზმებს“ .
3. კალიგრაფიის კონკურსი.
4. კითხვის დღე- იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები.
5. ნახატების შექმნა ქართულ ანბანზე და გამოფენა.
6. ძველი ქართული დამწერლობის შესწავლა და მოსწავლეთა მიერ წინადადებების ასომთავრულით წერა.
7. კედლის გაზეთის გამოშვება: საინტერესო მასალები ქართული ენის შესახებ. ბანერების გამოქვეყნება.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრული შესაბამისობა
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა -სრული შესაბამისობა



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მთელი სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატ. N3.5.1.1	1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებითი საფეხური (პირველი უცხოური ენა)	სასურველია, შემაჯამებელი დავალებებისთვის განკუთვნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შესაბამისობაში მოდიოდეს სამიზნე ცნებასთან და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; საშუალო საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა)	სასურველია, კურიკულუმში სრულად აისახოს ძირითადი სასწავლო რესურსი მატრიცებში მითითებული დამხმარე სასწავლო რესურსი. ასევე ასახეთ კურიკულუმში ინტერვიუს დროს დასახელებული ვალიდირებული დამხმარე სასწავლო რესურსები, რასაც იყენებთ სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებითი საფეხური (საზოგადოებრივი მეცნიერებები)	სასურველია, განმავითარებელი შეფასებაში ნათლად უნდა ჩანდეს რის საფუძველზე აძლევთ რჩევას (რა და როგორ გააკეთა მოსწავლემ დავალება)

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; საბაზო საფეხური (საზოგადოებრივი მეცნიერებები)	სასურველია, ოქმში ასახული იყოს შეფასების რომელ სისტემას იყენებთ.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; დაწყებითი საფეხური (მათემატიკა)	სასურველია, კლასკომპლექტებში, სასურველია კურიკულუმში ცვლილებების შეტანისას, გაითვალისწინონ და შექმნან კურიკულუმის ვერსია სპეციალურად დაწყვილებული კლასებისათვის, სადაც დასამუშავებელი თემები შინაარსობრივად ახლოს იქნება და საკითხების შესწავლისათვის, დაწყვილებულ კლასებში ერთიდაიგივე დროის მონაკვეთი იქნება გათვალისწინებული.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; საბაზო საფეხური (საზოგადოებრივი მეცნიერებები)	სასურველია, შეფასების რუბრიკასა და მექანიზმში ნათლად უნდა იყოს ასახული სწავლის რომელ შედეგზეა ორიენტირებული შეფასება
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; დაწყებითი საფეხური	სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ცვლილებების შეტანისას (რადგან კლასკომპლექტია) შექმნან კურიკულუმის ვერსია სპეციალურად დაწყვილებული კლასებისათვის, სადაც დასამუშავებელი თემები შინაარსობრივად ახლოს იქნება ერთმანეთთან და საკითხების შესწავლისათვის, დაწყვილებულ კლასებს დროის ერთი და იგივე მონაკვეთი ექნება დათმობილი.



	(ბუნებისმეტყველება)	
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებითი საფეხური (ბუნებისმეტყველება)	სასურველია, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მეტად მკაფიოდ იყოს დაკავშირებული სამიზნე ცნებასთან და მკვიდრ წარმოდგენებთან.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საბაზო საფეხური (ბუნებისმეტყველება)	სასურველია, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, უფრო კონკრეტულად იყოს განსაზღვრული შესაბამისი კერძო ქვეცნება.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; საბაზო საფეხური (ბუნებისმეტყველება)	სასურველია, შეძლებისდაგვარად შეივსოს ლაბორატორია ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი, ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს გამწოვი კარადა. აღსანიშნავია, რომ შედეგზე გასასვლელად, საკმარისი ცდები ტარდება სკოლაში.



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საბაზო საფეხური (ბუნებისმეტყველება)	მოსწავლის შეფასების სისტემა მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა არის მცირედი უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა: სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად (ქიმიის მერვე კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში მითითებულია თემა, სამიზნე ცნებები, საკითხთა ჩამონათვალი და ამ საკითხების მიმართ გაწერილი ქულები; ბიოლოგიის მეშვიდე კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში მითითებულია თემა, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა ჩამონათვალი და ამ საკითხების მიმართ გაწერილი ქულები); შემაჯამებელი დავალები ისე იყოს გაწერილი, რომ იგი უფრო დიდი რაოდენობით მოიცავდეს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებებს (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, და სხვ).
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს; საშუალო საფეხური (ბუნებისმეტყველება)	საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის (X, XI) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული აქტივობები მთლიანობაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა არის მცირედი უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა.



		რჩევა: ქიმიის მეათე კლასის კომპლექსურ დავალებაში (მეათე კლასის - პერიოდულობის კანონი და პერიოდულობის ცხრილი) მითითებული ძირითადი საკითხი და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული ძირითადი საკითხი იდენტური იყოს;
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; საშუალო საფეხური (ბუნებისმეტყველება)	სკოლას მიეცეს რჩევა, შეძლებისდაგვარად შეივსოს ლაბორატორი ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარ ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა. სკოლა აღწესწავლო მიზნებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საშუალო საფეხური (ბუნებისმეტყველება)	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმსაზღვრელი შეაფასების რუბრიკები უფრო მეტად კონკრეტულად გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად. შემაჯამებელი დავალები ისე იყოს გაწერილი, რომ იგი უფრო მეტად მოიცავდეს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებებს (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, და სხვ.) და ორიენტირებული იყოს მოსწავლის მიერ ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისელი) გამოყენების უნარზე;



--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც ექსპერტების მიერ აღწერილ გარემოებებს ეთანხმებოდა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იყო დაფიქსირებული ხარვეზი. იყო რჩევა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლების შესახებ და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. იყო რჩევები საგნობრივი კურიკულუმის ნაწილში, რასაც სკოლა გაითვალისწინებს კურიკულუმის შედგენისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და ოთხივე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს: „ ქვეყნის ინტერესებიდან, ტრადიციებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის, ღია სამოქალაქო საზოგადოების, კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მოსწავლე-ახალგაზრდობა.“

სკოლის მისია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ხედვა უკავშირდება შემდეგს: განათლება იყოს გაზიარებული პასუხისმგებლობა მოსწავლეებს, ოჯახებს, სკოლის პერსონალსა და სასკოლო საზოგადოებას შორის, 7 წლის შემდეგ სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო. სკოლა მოამზადებს მოსწავლეებს იმისთვის, რომ ისინი იყვნენ წარმატებული მოქალაქეები.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ღირებულებებია:

- სამართლიანობა
- გუნდურობა/თანამშრომლობა
- ზრუნვა
- ღიაობა

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის მისიაში გაცხადებულია რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. ესენია: ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების და ღირებულებების დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიის, თანასწორობისა და კონკურენტუნარიანობის პრინციპების გაზიარება. სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობის შექმნა, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვა და თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს შექმნა ყველასათვის. ასევე პრიორიტეტია მოსწავლეების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა საზოგადოებაში და თემში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად.

სკოლის მთავარი ფასეულობა მოსწავლე და მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენაა. მოსწავლეებს აქვთ მაქსიმალური აკადემიური თავისუფლება, ხელი ეწყობათ, გამოთქვან საკუთარი აზრი, იდეა, ინიციატივა, რომელიც წახალისებულია სკოლის მიერ. სკოლაში მაქსიმალურად დაცულია ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება.

სკოლა ხელს უწყობს მშობელთა და თემის წევრთა ჩართულობას და განუწყეტლივ სთავაზობს მათ სასკოლო ინიციატივებს. ეწყობა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები, თემის წევრები ჩართული არიან სასკოლო ღონისძიებებში.

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს თემსა და საზოგადოებაში მას უკვე აქვს თავისი ნიშა და ის არის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლამ სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით ჩაატარა შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან. ესენი იყვნენ: სკოლის თანამშრომლები, მშობლები, მოსწავლეები. გამოკითხვები ჩატარდა პირისპირ ფორმატში, ასევე შეავსეს კითხვარები. მათი ანალიზის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა დაადგინა, როგორც პრობლემები, ასევე ისიც თუ რას მიიჩნევდა დაინტერესებული საზოგადოება სკოლის ძლიერ მხარედ. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, სკოლის ოფიციალურ ვებ. გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის შესასვლელში საინფორმაციო დაფაზე. აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს მისიაში გაცხადებულ მიმართულებებს და აცოცხლებენ მათ ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში. სკოლაში ხორციელდება უამრავი აქტივობა და ღონისძიება, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შორის თანასწორობაზე, ადამიანთა უფლებებზე, გარემოს დაცვაზე და ა. შ. კერძოდ, სასკოლო პროექტები: „მეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“. ეს მიმართულებები შეტანილია სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლაში გაკვეთილები ტარდება ორგანიზების სხვადასხვა ფორმით, რაც მოსწავლეებს თანამშრომლობით უნარებს უვითარებს. სკოლის სოციალურ ქსელში აქტიურად შუქდება სასკოლო ღონისძიებები და პროექტები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა გამოკრული სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას, ასევე, განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში პირველივე შეხვედრისას მშობლებს აცნობენ სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებებს და ისმენენ მათ მოსაზრებებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა, ღირებულებები ლინკი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ვებ. გვერდი ლინკი
- სკოლის სოციალური გვერდი (FB)
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 15.19.2005 (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ)
- სასკოლო პროექტები ლინკებით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მისი შექმნისა და განხორციელების პროცესში. მეთოდოლოგიის მთავარ ორიენტირად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული პირებისგან, მშობლებისაგან, მოსწავლეებისაგან, მასწავლებლებისაგან ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და უკუკავშირს, რაც გამოიყენება შემდგომი დაგეგმვისათვის. ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრისთვის

გამოყენებულია SWOT- ანალიზის მეთოდი, მიზნები და ამოცანები ჩაშლილია სამი მიმართულებით: აკადემიური საქმიანობა, სასწავლო გარემო და ეფექტიანობა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7 წლიან ციკლს და იგი თავსებადია სტანდარტებთან, 2023 წელს სკოლამ შეიმუშავა 7 წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. მასში რეალიზებულია ის მიზნები, რომელიც სკოლამ უნდა შეასრულოს 7 წლიან ციკლში მისიის და ხედვის შესაბამისად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს წინაშე ხდება გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება ახალი პრიორიტეტები და ამის გათვალისწინებით ხდება ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, მიმდინარეობდა სამოქმედო გეგმის ანგარიშზე მუშაობა, რომელსაც გააცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს და დაინტერესებულ პირებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რაც პრიორიტეტულია სკოლისთვის. გაწერილია რეალისტური ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. მათი მიღწევა რეალისტურია. იგი შემუშავებულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად და გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- სტრატეგიული განვითარების გეგმა,
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია,
- 1 წლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში მოქმედებს მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემა. ყველა რგოლმა თუ სტრუქტურულმა ერთეულმა ზუსტად იცის, თუ ვისთან და რა პერიოდულობითაა ანგარიშვალდებული. სკოლაში მონიტორინგის საბოლოო შედეგები თავს იყრის დირექტორთან და აისახება წლიურ ანგარიშში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
არსებულ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია თუ ვინ, რა პერიოდულობით არის ანგარიშვალდებული თითოეული ამოცანისა თუ მიმართულების შესრულებაზე. ასევე დეტალურად აღიწერება მონიტორინგისა და შეფასების ვადები და აქვე დაზუსტება სამუშაოების გადავადებისა თუ პრიორიტეტული მიმართულებების ცვლილების გამო საერთოდ ამოცანების ამოღების შესაძლებლობები. მოცემულ პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა მონიტორინგსა და შეფასებაზე. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
სკოლაში ვიზიტის პერიოდში, მიმდინარეობდა მუშაობა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების წლიურ ანგარიშებზე, რაც დასრულებისთანავე გამოქვეყნდება საჯარო სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში, ასევე, განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე საჯაროდ. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გააანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქმიანობების განსაზღვრად. ასევე განისაზღვრება ამ საქმიანობების თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რათა არ აცდნენ საბოლოო მიზანს და ახალი რეალობის გათვალისწინებით შეიტანონ ცვლილებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არსებობს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები და სხვა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სკოლას აქვს კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების დებულებები. ასევე, სკოლაში არსებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად არის აღწერილი მათი ფუნქციები. ყველა მათგანი სკოლაში მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

სკოლის დირექცია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ბუღალტერი

ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი

არასაშტატო ერთეულები - 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, 1 ექთანი, 1 წრის ხელმძღვანელი, 1 მუშა 1 ცეცხლფარეში, 17 მასწავლებელი.

სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებებისა და დებულებების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიულიმხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება დებულებით.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიულიმხარდაჭერის ჯგუფის ბრძანებაში ცვლილება
- ხელშეკრულება
- საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად
სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე). დამრიგებლები სასწავლო წლის

დაწყებისას შინაგანაწესს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ყოველი ცვლილება, რომელიც შედის შინაგანაწესში არაუგვიანეს 5 დღეში ეცნობება დაინტერესებულ პირებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. სკოლის მიერ წახალისებული და მხარდაჭერილია როგორც თანამშრომელთა, ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითობა და ინიციატივა. სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა და შინაგანაწესის შესაბამისად, კონკურსის წესით, ხდება ახალი კადრების მოზიდვა და დასაქმება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების გაჩენისთანავე, კანდიდატის შერჩევის მიზნით, იქმნება საკონკურსო კომისია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის მუშაობის პრინციპია ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა. კადრების შერჩევა ხდება საჯაროობის პრინციპების დაცვით: ვაკანსია ცხადდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ ვებგვერდზე www.teacherjobs.ge, საბუთების შეარჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი. მასწავლებლის შერჩევის შემდგომი ეტაპებიც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ფორმდება შესაბამისი ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლაში მომუშავე ყველა პირის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ვაკანტური პიზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა ითხოვს პირს შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის 17 მასწავლებლიდან არის 2-მენტორი, 2-წამყვანი, 13 -უფროსი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა იმართება მონაწილეობისა და გუნდურობის პრინციპის დაცვით. სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 3 მასწავლებლი, 3 მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. მასწავლებლები არიან თავისუფალი თავიანთი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან, გაზეთ „ახალ განათლებასთან“ და მედეაპროექტ „ეტალონთან“ და ხდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებსა და კონკურსებში. ყველა წარმატებას სკოლა განაუთავსებს სკოლის ოფიციალურ გვერდზე და სოციალურ ქსელში. გარდა ამისა ყველა კლასს აქვს თავიანთი დახურული ჯგუფები, სადაც მუდმივად ზიარდება

სიახლეები და ვმსჯელობთ სხვადასხვა საკითხებზე. სკოლის შინაგანაწესის მე-10-11 მუხლებში გათვალისწინებულია როგორც მოსწავლის, ასევე, დასაქმებულის წახალისების ფორმები და წესი. წარმატების აღიარება ზდრის მოსწავლეთა და დასაქმებულთა მოტივაციას მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ბრძანება ვაკანტურ პოზიციაზე მასწავლებლის შერჩევის განაცხადის მიღების ვადების და პირობების განსაზღვრის შესახებ
- საკონკურსო კომისიის ოქმი N1
- საკონკურსო კომისიის ოქმი N2
- სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა საკუთარ პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებლის თვითშეფასება. საჭიროების მიხედვით მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს. ეფექტური შეფასებისთვის, სკოლას გეგმაში აქვს ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ჰოლისტურად დაინახავს როგორც სკოლის, ასევე თითოეული პერსონალის საჭიროებებს. ამ მიზნით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და მიზნობრივი შეხვედრებით მოხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა.

ინდიკატორს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში განუწყვეტლივ ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად, მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს ასევე, მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს.

ინდიკატორს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ყოველ წელს კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი იმაღლებს სტატუსს და ასევე კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლა გადავიდა ახლად აშენებულ შენობაში, სადაც შეიცვალა როგორც კლას-კაბინეტების, ასევე ლაბორატორიებისა და სხვა სამუშაო ოთახების განლაგება. თანამშრომლების ინტეგრაციის მიზნით მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, ამატებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებსა და ჩეთებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ახალისებს პერსონალის ინიციატივებს განვითარებასთან დაკავშირებით. თუ მასწავლებელს სურს ტრენინგის გავლა ან კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლის მხრიდან მას აქვს მაქსიმალური ხელშეწყობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მასწავლებელთა სეტრტიფიკატები.
- სკოლის პერსონალის განვითარების დებულება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლაში სასწავლო პროცესების მართვა გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დაგეგმვა შემდეგი თანმიმდევრობით: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია, რაც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განხორციელებას გულისხმობს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე კლასგარეშე საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი. განსაზღვრულია ჯგუფის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის ჯგუფი გეგმავს საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასებასა და რევიზიას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგია), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განხორციელე, შეაფასე, განავითარე, პრინციპის დაცვით. ასევე, სკოლა ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში საშუალება აქვთ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით. სკოლას აქვს ლაბორატორია, სადაც მოსწავლეებს განხორციელებული აქვთ საინტერესო stem პროექტები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესების ფარგლებში სკოლას საზოგადოების ჩართულობით შემუშავებული აქვს სტრატეგიული 7



წლიანი და 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვა, ხორციელდება ძირითადი პროცესები: კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება

მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება და სხვა.

აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ასევე, მკაფიოდ და ნათლად არის გაწერილი შესაბამის დოკუმენტებში კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. შესაბამისად, საგამნამათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის ყველა პირობაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. იგი გაწერილია შინაგანაწესში. ასევე გაწერილია ვადები და პროცედურები. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია საჯაროდ და გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირს შორის. ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესიც, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები კი გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.

შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეშიც. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებსაც. გარდა აღნიშნულისა სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის ფარგლებში იხილება საკითხები მშობელთა ინფორმირების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.
- ვებ გვერდი გასაჩივრების მექანიზმები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ის დახურულ ჯგუფებს, მესენჯერს TEAMS-ის ჯგუფებს, სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი აზრი დაფიქსირება ყველა საშუალებით. ასევე სკოლა ღიაა პირადი საუბრებისთვის. ამ მხრივ როგორც

დირექტორი ასევე დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სრულ მზადყოფნაში არიან. სკოლაში ყოველთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით, რათა ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან ერთი წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი ასევე არის სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები (1 მოსწავლე, 1 მასწავლებელი, 1 მშობელი) არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

აღსანიშნავია, რომ სკოლა მეოთხე კლასის ბოლოს მშობლებს სთავაზობს მინიმუმ 2 უცხო ენას, რომელთაგან არჩევანს აკეთებს მშობელი. ამ ტიპის ჩართულობაც სასკოლო გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანია, რადგან სკოლა მაქსიმალურად იყოს მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხო ენის არჩევის ოქმი,
- მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების კითხვარები
- სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ერთსართულიანი შენობა ახალი აგებულია, მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოეწერა 2023 წლის 11 დეკემბერს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან 2022 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული N320701/03/207 ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობაზე. თანამედროვე სტანდარტებით ახალაშენებული სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ფიზიკური უსაფრთხოების ნორმები. სკოლის ტერიტორია სრულად არის ღობით დაცული. ეზოშიც და შენობაშიც არ არის რამე საფრთხისშემცველი ობიექტი. სკოლაში დამონტაჟებულია 13 ვიდეოკამერა, რომელთაგან სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს ახორციელებს 8 კამერა, ხოლო სკოლის შიგა პერიმეტრს აკონტროლებს 5 კამერა. ვიდეოსათვალთალო სისტემით მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დერეფნებში, ვიდეო სათვალთვალ სისტემის ჩანაწერები ინახება 16 სამუშაო დღის განმავლობაში და მათ ადმინისტრირებას სკოლაში ახორციელებს უსაფრთხოებისთვის გამოყოფილი პირი. სკოლაში დანერგულია მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. სკოლის კართან მუდმივად არის ადამიანი, ვინც აღრიცხავს შენობაში შემოსვლებს მათი შემოსვლისა და გასვლის დროების მითითებით.

სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით და უკვე მიიღო დადებითი პასუხი შეთანხმების თაობაზე. ასევე, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები, არის ცეცხლმაქრები, სახანძრო სტენდი, მანათობელი გასასვლელი ნიშნები, სათადარიგო კარები, საევაკუაციო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით სკოლაში არის ექთნის კაბინეტი. კანონმდებლობის სრული დაცვით, კონკურსის წესით, შერჩეულია სკოლის ექთანი. მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება იგი აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებში. კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მარაგებითა და მედიკამენტებით. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ექთნის მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავს კარის ქალი. სკოლაში არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოა. სკოლის კედლებზე გამოკრულია მოსწავლეების მიერ დამზადებული პლაკატები და პოსტერები, ტარდება ღონისძიებები ბულინგიდ წინააღმდეგ. ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სკოლის ფოიეში დგას ტენისის მაგიდა, მკლავჭიდის მოწყობილობა, რასაც თავისუფალ დროს იყენებენ მოსწავლეები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დამლაგებლებს აქვს მათი სამუშაო სივრცე განსაზღვრული. სკოლა ერთცვლიანია და მათ საკმარისი დრო აქვთ დასუფთავებისათვის. სველი წერტილების დასუფთავება მიმდინარეობს საჭიროებისამებრ დღის მანძილზე. შესრულებული სამუშაოების ხარისხს, სასაპნეებისა თუ სხვა მარაგების შევსებას ადგილზე, ოთახების, დერეფნისა და სველ წერტილების სისუფთავეს თვალყურს ადევნებს და მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი. სკოლის შენობა ახალია, ეზოც კეთილმოწყობილია და სისუფთავე ყველგან შენარჩუნებულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მოცემების დაცვაზე. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება, თუმცა სკოლა მხოლოდ მშობლის თანხმობის შემთხვევაში ავრცელებს მოსწავლეთა სურათებს ღია სივრცეში. დაცულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები და მონაცემები პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესის მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ამ მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო კამპანიები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლაში ფუნქციონირებს მონაცემთა ბაზების ელექტრონული სისტემა რომელსაც მართავს საქმის მწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს სკოლაში არ ფიქსირდება მძიმე ხასიათის დარღვევები, რასაც ხელს უწყობს პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე ინფორმაციის მიწოდებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- მოსწავლის დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

- პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება
- შენობის მიღება-ჩაბარების აქტი
- წერილი საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმებაზე
- ხელშეკრულება სახანძრო უსაფრთხოებაზე
- სამხარაულის ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

2. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
3. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
4. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
6. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ხარისხიანი სწავლისა და მუშაობის პირობებს. სკოლის შენობა აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2023 წლის დეკემბრიდან. სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მაგრამ არა მიმდინარე წლის. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო პროცედურა ახალი ამონაწერის მისაღებად, რასაც წარმოადგენს საბოლოო დასკვნამდე. შენობა არის თანამედროვე სტანდარტებით აგებული კეთილმოწყობილი და საკმაოდ დიდი ეზოთი. ეზოში არის ღია სპორტული მოედანი, გამწვანებული გაზონები და ხეები, რეკრეაციული ზონები. სკოლის ეზო შემოღობილია და დაცულია. სკოლის ავეჯი და აღჭურვილობაც ახალია, სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია საცავ ოთახთან ერთად, სადაც არის ონკანი. ოთახი აღჭურვილია კარადებით, მერხებით და მაგიდებით, მაგრამ არ არის გამწოვი კარადა და ცეცხლგამძლე ზედაპირი ცდებისათვის. სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს უახლოეს პერიოდში მათი შეძენა და მონტაჟი, ასევე დამატებითი ლაბორატორიული მოწყობილობებით შევსება. შედეგის მისაღწევად მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიასაც და ინტერნეტრესურსებს. სკოლაში არის ცენტრალური გათბობა. საქვების შენობა მოწყობილია სკოლის უკანა ეზოში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში გარე თუ შიდა სივრცეები ხელმისაწვდომია იყოს ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის. სკოლას გაწერილი აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკასა თუ ლაბორატორიებშიც თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სარგებლობის წესები. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მერხები, სკამები და სხვა მატერიალური რესურსი ყველა მოსწავლისათვის ასაკის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც მატერიალური რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ყველა წიგნს ენიჭება ნომერი. ბიბლიოთეკაში არის როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა და მეთოდოლოგიური ლიტერატურა. მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ აღნიშნული ბიბლიოთეკით. ასევე, ბიბლიოთეკარი ჩართულია სხვადასხვა სასკოლო პროექტების განხორციელებაში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს. ცენტრალურ შემოსასვლელში არის კიბეც და პანდუსიც. პანდუსი არის გვერდითი შემოსასვლელიდანაც. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის შენობა ერთსართულიანია, რაც უზრუნველყოფს სასკოლო სივრცის და რესურსების სრულ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა განახორციელონ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლებსშორის არსებული პროექტები. მართალია სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლაში მოეწყოს შეხვედრები, მოსწავლეებს ქონდეთ გაკვეთილების შემდეგ დარჩენის, საუბრის შესაძლებლობა, სკოლის ღია სპორტული მოედანი, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია ადგილობრივი სათემო საზოგადოებისთვის. ხშირად ტარდება სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები.

ბიბლიოთეკა, ისტ ლაბორატორია, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სასაფასეო ოთახი სკოლა სრულ თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით გაკვეთილების შემდეგაც. მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია სკოლაში ფუნქციონირებდეს სხვადასხვა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შენობის ნახაზი
- ბიბლიოთეკის დებულება
- საინვენტარიზაციო უწყისი
- ძირითადი აქტივები
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობის მიღება-ჩაბარების აქტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში არის 7 პერსონალური კომპიუტერი, 24 ლეპტოპი, 2 პროექტორი, 2 პრინტერი. სკოლას შესაბამისობის გეგმაში კი ეწერა კომპიუტერული ტექნიკის დამატება და ვიზიტის პერიოდში მათ უკვე მიღებული ჰქონდათ დამატებითი ლეპტოპები. სკოლას პერიოდულობით შეფერხებით მიეწოდება ინტერნეტი, მაგრამ შესაბამის სტრუქტურებთან მიმართვის შემდეგ, ხდება მისი გამოსწორება. სკოლის პერსონალი და მოსწავლეები იყენებენ სკოლაში სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმებს სასწავლო მიზნების მისაღწევად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისათვის. მათ საშუალება აქვთ ნებისმიერ საკლასო ოთახსა თუ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ არსებული რესურსებით. ასევე დარჩნენ გაკვეთილების შემდეგ, მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, გაესაუბონ მშობლებს, განახორციელონ პროექტები და ა. შ. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. სკოლას აქვს ციფრული რესურსების განვითარების გეგმა და ლაბორატორიით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი - ბრძანება
- სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი
- სქულობის და კომპიუტერების ფოტომასალა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კორესპონდენციები აღირიცხება დადგენილი წესის შესაბამისად. N1 ენიჭება საკადრო ბრძანებების დოკუმენტაციას, N2 საერთო ბრძანებებს, N3 გასულ დოკუმენტაციას. N4 შემოსული დოკუმენტაცია და N5 ხელშეკრულებებს. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებათ შესაბამის ვადებში. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისაგან. საქმისწარმოება სკოლაში ორგანიზებულია. სკოლას აქვს დამტკიცებული საქმისწარმოების წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას eflow, ასევე eschool, სკოლა ასევე იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას chaismeurneoba@mes.gov.ge საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე. სკოლას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, რომელიც იძლევა საშუალებას პირდაპირ გვერდიდან მიწეროს დაინტერესებულმა პირმა ნებისმიერი ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
- სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. ასევე თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ელექტრონულ ფოსტას.
- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი,
- [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\)](http://emis.ge) საჯარო ინფორმაცია

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სკოლის ოფიციალურ საიტს [იხ. ბმული](#) ასევე სკოლის facebook გვერდს. საჭიროების შემთხვევაში, მშობლებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ როგორც მესენჯერს, ასევე სატელეფონო კომუნიკაციას. სკოლის გვერდებზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები. ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლის წარმატება, აქტივობების ამსახველი ინფორმაცია, პროექტები, პრეზენტაციები, კონფერენციებში მონაწილეობა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მშობელთა შეხვედრებისთვის აქტიურად იყენებენ პირისპირ შეხვედრებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის მიერ გავრცელებული ყველა სიახლე თუ ინფორმაცია ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებებს. სკოლის საქმის მწარმოებელი შესაბამის გვერდებზე ავრცელებს მხოლოდ გადამოწმებულ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ნებისმიერი საშუალებით მიღებულ უკუკავშირის განიხილავს და აანალიზებს, ითვალისწინებენ მოქმედ კანონმდებლობას და პასუხობენ სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი და მასზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს შემდეგი ინფორმაცია:

1. მისია, ხედვა, ღირებულებები,
2. სკოლის სტრუქტურა;
3. სტრატეგიული გეგმა;
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;



5. პროგრამები მხარდაჭერის მექანიზმი;
6. ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი
7. ინფრასტრუქტურა
8. ფინანსები

ყველა ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებაც მოეთხოვება სკოლას ვებგვერდის საშუალებით, განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე ეტაპობრივად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება, დანართით.
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
- სკოლის ვებ.გვერდი
- სკოლის სოციალური ქსელი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ფინანსურად მდგრადია. სკოლას აუცილებელი ხარჯების გარდა, შეუძლია გამოყოს ხარჯები სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებისთვის და დაგეგმილი ღონისძიებებისთვის. სკოლის წლიური შესყიდვების გეგმას სკოლა ადგენს წინა წლების გამოცდილებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. იგი დამტკიცებულია შესაბამის ვადებში. საჭიროებების შემთხვევაში, სკოლის წლიური შესყიდვების გეგმაში შეაქვთ ცვლილებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.
სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- 2024 წლის ბიუჯეტი
- ბრძანება (2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ)
- ბრძანება (შესყიდვების გეგმის ცვლილება)
- [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები \(emis.ge\) ლინკი](https://emis.ge)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვა და გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რადგან იგი განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდზე და ასევე დერეფანში საინფორმაციო დაფაზე მატერიალური სახით. მოსწავლის უფლება რეალიზებულია სასკოლო გარემოში. ისინი მონაწილეობას იღებენ მათი წარმომადგენლის მეშვეობით სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. ასევე მათი ინიციატივით ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები. მათ აქვთ უფლება სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე და ისარგებლონ სკოლის რესურსებით. სკოლის ვებ.გვერდზე გამოქვეყნებული აქვთ მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები და გასაჩივრების წესებიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში მოსწავლის ქცევის კოდექსი და შინაგანაწესი გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის კლასის ხელმძღვანელები სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე მშობლებს, ხოლო სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებს აცნობენ ზემოთაღნიშნულ დოკუმენტებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტები არა მხოლოდ ხელმისაწვდომია, არამედ იზიარებენ მას მოსწავლეები დამასწავლებლები. სკოლის მოსწავლეებმა იციან თავიანთი უფლებები. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა კამპანიაში მსოფლიო კალენდრის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას და მოსწავლეთა მობილობისას სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმადგენელს შორის იდება კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. მასში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი,
- გასაჩივრების პროცედურები -ბრძანება
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება
- სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევაში ხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N04/ნ-ით. განსაკუთრებული პირობები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლას არ აქვს, ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მომავალ პირველკლასელთა მშობლებს წინასწარ აცნობენ მოსწავლის ჩარიცხვის წესებს და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას. ასევე, მშობლები იღებენ ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას და სერვისს მოსწავლეთა მობილობის შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა იცავს ყველა წესს, რომელიც ეხება მოსწავლის ჩარიცხვასა და მობილობას. ასევე სტატუსის შეჩერებას. მოსწავლის ჩარიცხვა და მობილობა ხორციელდება მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, ხოლო სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სკოლა მუდმივად თვალს ადევნებს და მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობას;
 - დროულად ეცნობა და აქვეყნებს ინფორმაციას მოსწავლეთა რეგისტრაციის ეტაპებისა და სხვადასხვა საფეხურზე ჩარიცხვის თაობაზე
-
- სკოლაში წარსადგენი საჭირო დოკუმენტაციის თაობაზე;
 - მოსწავლეთა მობილობის თაობაზე;
 - სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თაობაზე;
 - საფეხურის დაძლევის თაობაზე;

- ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა თავისი გადაწყვეტილებების დროს არის ღია საკომუნიკაციოდ. სასკოლო გეგმაში ითვალისწინებს მშობელთა ინტერესებს. სკოლას აქვს სხვადასხვა მიმართულების კლუბების ფუნქციონირების გამოცდილება („ეკოკლუბი,, „დასტაქრები“ ლიტერატურული კლუბი „მწიგნობრები“)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სსიპ მაღხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის პერსონალი სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სკოლის ვებგვერდის, საინფორმაციო შეხვედრების და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დაგეგმილი შიდასასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- ბრძანება მოსწავლის მობილობა (გადმოსვლა)
- ბრძანება მოსწავლის მობილობა (გადასვლა)
- ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევა
- ბრძანება მოსწავლის I კლასში ჩარიცხვა
- ბრძანება მოსწავლის სტატუსის შეჩერება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლა, ტრანზიციის გეგმის მიხედვით, ზრუნავს თითოეულ მოსწავლეზე. ხელს უწყობს თითოეული ახლად მოსული მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, სკოლის ყველა კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს. აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
სსიპ მალხაზ აბაშიძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლას აქვს ახალი შენობა და ახალი გარემო. ამის გათვალისწინებით შეიცვალა საკლასო ოთახების, ლაბორატორიების, სველი წერტილების განლაგება. ამის გათვალისწინებით კლასის დამრიგებლებმა გადმოსვლის დღიდანვე გააცნეს მოსწავლეებს ოთახების ახალი განლაგება. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, შევესწარი პირველკლასელთა სკოლასთან გაცნობის პროცესს, მათ გააცნეს თითოეული კაბინეტის განლაგება და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის წესები. ეს პროცესი ასახულია სკოლის სოციალური ქსელის გვერდზეც <https://www.facebook.com/photo/?fbid=1171118137426291&set=pcb.1171118630759575> სკოლას მჭიდრო კონტაქტი აქვს ახლო მდებარე სკოლამდელ დაწესებულებებთან.

